ბრიფინგის ტექსტი

(რომელიც შეაჩერა პოლიტსაბჭომ და შესაბამისი რეაგირებისათვის დაიტოვა მასალები)

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების დღიდან ფრაქცია „ქართულ ოცნება" გამოვხატავდით წინააღმდეგობას მთავრობის აპარატში ირაკლი ჭეიშვილის დასაქმებაზე. აღნიშნული არაერთგზის დავაფიქსირეთ თქვენთან შეხვედრის დროსაც, მათ შორის უშედეგოდ მისი თანდასწრებით. თუმც, ჩვენმა ამ წინააღმდეგობამ შედეგი არ გამოიღო, უფრო მეტიც, თვითმმართველობის არჩევნებში იგი აღმოჩნდა კოალიცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" სიის პირველ ნომრად და დღეს გახლავთ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე. ირაკლი ჭეიშვილი მთავრობის თავმჯდომარის მეგობარი და მეჯვარეა. იგი იყო საპრეზიდენტო არჩევნების ბათუმის შტაბის ხელმძღვანელი, ხოლო 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შტაბის ხელმძღვანელი.

ირაკლი ჭეიშვილი ამბობს, რომ მ.პ.გ. „ქართული იცნების" წევრია, ეს მაშინ, როცა გარემოცვით დაკავშირებულია „თავისუფალ დემოკრატებთან და ატარებს მათ ინტერესებს. ირაკლი ჭეიშვილის გავლენა იგრძნობოდა და დღესაც იგრძნობა აჭარის მათავრობის თავმჯდომარეზე. არის მოსაზრებები, რომ იგი გარეულია მშენებარე ობიექტებზე სართულების დაშენების სანებართვო საკითხების გადაწყვეტაში. ამ დროისათვის დადასტურებულია, რომ ის ცხოვრობს შპს „რეალ პალასის" სახელზე რიცხულ ბინაში, (ახლად აშენებულ სახლში), რომლის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები მიბმულია მერიის სხვა და სხვა შინაარსის ადმინისტრაციულ აქტებთან (რომელიც გამოთხოვილია და რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტებით დამფუძნებელი გახლავთ ლევან ხიმშიაშვილი, ჭეიშვილ-ხაბაძის მეგობარი). (იხ. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან)

ყველაზე მტკივნეული გახლავთ ხმები ჭეიშვილზე, მისი გარემოცვის დამოკიდებულებაზე ნარკოტიკებთან და კიდევ ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჭეიშვილის გარემოცვიდან ადგილი ჰქონდა ბიზნეს წრეებიდან „შემოწირულობების" გამოძალვას ანუ ხელზე აღებას, რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა იმთავითვე. შესაბამისი იყო რეაქციაც. ამის თაობაზე ეცნობა ბატონ ვ. მამაცაშვილს, საიდანაც 4 დღის შემდეგ შეგვატყობინეს, რომ ერთ-ერთი მათგანი (კ.კ) იყო დაკავებული. ჩვენს ხელთ არსებული შესაძლებლობის ფარგლებში, გარემოებებში გარკვევით დგინდება, რომ დაკავებული (კ.კ) არის ჭეიშვილ-ხაბაძისა და „თავისუფალი დემოკრატების" უახლოესი გარემოცვა, რომელიც აჭარის ა.რ. მთავრობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანით Hyundai CJC967 სისტემატიურად გადადის თურქეთში, დასაბუთებული ვარაუდით, ამ სამთავრობო სატრანსპორტო საშუალებით გადმოაქვთ ნარკოტიკული საშუალებები. აღნიშნული დასტურდება იმით, რომ 2013 წლის 19, 20 სექტემბერს მთავრობის № 1 ჩინოვნიკზე ირაკლი ჭეიშვილზე (საარჩევნო პროცესებში ჩართვის გამო) მიმაგრებული მანქანა შემოდის საქ. საზღვარზე; ეს გახლავთ 1-ლი საათი და 11 წუთი, იმავე დროსაა დაფიქსირებული დაკავებული კ.კ.-ს მიერ საზღვრის გადმოლახვაც (მანქანიდან გადმოსვლის შემდეგ აკავებენ), მოგვიანებით კი ხაბაძის ჩარევით ათავისუფლებენ. მას, მხოლოდ, ერთი დღით უწევს პატიმრობა, 21 თებერვალს გირაოთი ათავისუფლებენ, 2014 წლის 22 ივლისს კი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დგება გამამტყუნებელი განაჩენი.

აჭარაში განხორციელებულმა საკადრო პოლიტიკამ, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონის და ქალაქის საკრებულოს თავკაცები წარმოადგენენ უახლოეს მეგობრებს, ხოლო მათი გარემოცვა „თავისუფალ დემოკრატებს", დანათესავებული არიან, რადგან არიან მეჯვარეები. ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლებისა და კოალიციური საბჭოს უპირობო მხარდაჭერამ, განაპირობა იმდაგვარი განუკითხაობა, რომ მთავრობის თავმჯდომარე ვეღარ აკონტროლებს მთავრობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის გადაადგილებას. ჭეიშვილი (რომელიც იმ დროს შვებულებაშია) სრულიად უკანონოდ (სავარაუდოდ საარჩევნო-სააგიტაციო მასალისათვის) იყენებს აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ავტომანქანით გადაადგილდებიან ნარკოტიკებზე დამოკიდებული ადამიანები და საქართველოს საზღვრის გადმოკვეთით ახდენენ ნარკოტიკული საშუალებების შემოტანას. დღეს ეს ავტომანქანა აჭარის მთავრობის ბალანსიდან გადაცემულია საკრებულოს ბალანსზე, ანუ იგი მთავრობიდან „გადმოყვა" ი. ჭეიშვილს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

მედეა ვასაძე

25

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	707865
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	**B14008576**
ამონაწერის მომზადების თარიღი:	29/01/2014 15:40:32

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს მეგა პალასი
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ.ბათუმი, ბაგრატიონის ქ., N 97-99
ელექტრონული ფოსტა:	LTD.MEGAPALACE@gmail.com
საიდენტიფიკაციო კოდი:	445437331
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	**29/01/2014**
მარეგისტრირებელი ორგანო:	საჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია:	ბათუმის რეგიონალური ცენტრი (საგ-დო ინსპექცია)

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 61002010651, ედვარდ ხიმშიაშვილი,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

მფლობელი	წილი	წილის მმართველი
61010004180, ლევან ხიმშიაშვილი,	50.00000000%	
61005000380, ჯუმბერ ზოიძე,	50.00000000%	

ვალდებულება

გირავნობა

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

27

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. № 25
ტელ: (032) 2285411

30-15/227 09-02-16/295
28 აპრილი 2015 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარეს
ბატონ არჩილ ხაბაძეს

ბატონო არჩილ,

გიგზავნით, უმაღლეს საბჭოში, 2015 წლის 28 აპრილს, გამართული ბრიფინგის მასალებს - რეაგირებისათვის.

დანართი 5 ფურცელზე.

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრის

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარის მედეა ვასაძის

28

ბრიფინგი

თემა: საჯარო მიმართვა აჭარის მთავრობის თავმჯდომარისადმი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ბაქვი, 28 აპრილი, 2015
11:00 საათზე

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო და გაცნობებთ, რომ სანდო წყარო, გასულ წელს, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის, თითქოსდა, ჩადენის ფაქტზე, სისტემატიურად მაწვდიდა გარკვეულ ინფორმაციას, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, საყურადღებო იყო ის, რომ იმ პერიოდში, საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარს, სისტემატიურად კვეთდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა „Hyundai - CJC-967". მაგალითად, საზღვრის კვეთა განხორციელებულია 2013 წლის 18 სექტემბრის 22 : 17 საათზე, 19 სექტემბერის - 00:47 საათზე, იმავე დღეს - 14:58 საათზე და 20 სექტემბერის - 01:27 საათზე.

ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის გადასამოწმებლად 2014 წლის 29 აგვისტოს ოფიციალური წერილით მივმართე აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარეს არჩილ ხაბაძეს, მთავრობის ბალანსზე რიცხული ამ ავტომანქანის გადაადგილების მიზნობრიობის შესახებ, რაზედაც 2014 წლის 10 სექტემბერს, აპარატის უფროსის ხელწერით, მივიღე შეტყობინება იმის შესახებ, რომ ამ გადაადგილების თაობაზე ოფიციალური დოკუმენტაცია მთავრობის აპარატში რეგისტრირებული არ იყო. აღნიშნული დროიდან, არაერთგზის მიმოწერის მიუხედავად, საამისოდ უფლებამოსილი ორგანოდან მიღწეული ვერ იქნა ავტომანქანის საზღვრის კვეთის ფაქტზე, ჩვენს მიერ გამოთხოვილი, ოფიციალური დასტურის მიღება. დღეს, ასეთი, ხელთ მაქვს და ვასაჯაროებ რა ამ დოკუმენტს, მივმართავ აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს არჩილ ხაბაძეს, რათა აღნიშნულ საკითხზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და ამ გზით, უზრუნველყოს პასუხები შემდეგ კითხვებზე: პირველი - ვისზე იყო იმ დროისათვის აღნიშნული ავტომანქანა მიმაგრებული (განპიროვნებული), (თუკი ამ ავტომანქანით მოსარგებლე მთავრობის აპარატის ყოფილი უფროსი, იმ პერიოდში, ასრულებდა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის მოვალეობას და (სავარაუდოდ) შეჩერებული ჰქონდა აპარატის უფროსის მოვალეობა). მეორე - რას ემსახურებოდა ავტომანქანის ამ მიმართულებით გადადგილება. მესამე - ვინ მართავდა ავტომანქანას. მეოთხე - რა ოდენობის საწვავია მასზე იმ დროისათვის გაცემული და სხვა.

ვფიქრობ, რომ ამ საკითხზე ადმინისტრაციული წარმოება მთავრობის აპარატს, უნდა დაეწყო ჩემი წერილის მიღებისთანავე, რაც არ განხორციელებულა. ამიტომ, დღეს, არჩილ ხაბაძეს მივმართავ საჯარო განცხადებით, დაიწყოს ამ ფაქტთან დაკავშირებული ყველა გარემოების გამოკვლევა და ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებაზე მაცნობოს, როგორც წერილობით, ასევე საჯაროდ, რის შემდეგაც, ჩვენ, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, ერთ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტზე სასაუბროდ, რომელზედაც, დღეის მდგომარეობით, მასალები, თითქმის, მზად მაქვს.

ამჯერად, გაწვდით მტკიცებულებათა მხოლოდ ნაწილს - კერძოდ, ჩემს მიმართვას აჭარის მთავრობის თავმჯდომარისადმი და შესაბამის პასუხს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ დასტურს - ავტომანქანის მიერ საზღვრის კვეთაზე.

აქვე, გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ფაქტში გარკვევა გახლდათ მპგ „ქართული ოცნება დემოკრატიული-საქართველოს" პოლიტსაბჭოსადმი, ჩემს მიერ შეფასებისათვის დასმული ერთ-ერთი საკითხი, რაზედაც პასუხი ვერ იქნა მიღწეული.

აქვე ვაზუსტებ, რომ ის, რაზედაც სამომავლოდ უნდა ვისაუბროთ არ იქნება მხოლოდ არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში მხილება, რისკენაც ყურადღების გადატანის მცდელობას ამჟღავნებენ დაინტერესებული პირები.

პატივისცემით მედეა ვასაძე

29

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ჩაქვი, მეგანეიშვილის ქ. №25
ტელ : (032) 2285411

09.02-16/625

29 ივლისი 2014 წ

აჭარის ავტონომიური რესპუბლი
მთავრობის თავმჯდომარ
ბატონ არჩილ ხაბა

ბატონო არჩილ,

გაცნობებთ, რომ 2013 წლის 19 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლ მთავრობის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანას, რომელიც მიმაგრებული იყო მთავრო აპარატის ყოფილ უფროსზე, ირაკლი ჭეჭშვილზე, 4-ჯერ აქვს გადაკვეთი სახელმწიფო საზღვარი (თურქეთის მიმართულებით).

შემხვედრი აუცილებლობის გამო, გთხოვთ, მომაწოდოთ აღნიშნუ ავტომანქანის, ამ მიმართულებით, გადაადგილების მიზნობრიობის ოფიციალ დოკუმენტები.

პატივისცემით,

უმაღლესი საბჭოს წევრი მედეა ვასაძე

ჩაბარდა ვ. ფერხი
29.08.14

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატი

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
ADMINISTRATION OF GOVERNMENT

30

№ 05-19/7 321-20-16/2014 "10" 09 2014

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ქალბატონ მედეა ვასაძეს

ქალბატონო მედეა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში წარმოდგენილი თქვენი 2014 წლის 29 აგვისტოს №09–02–16/625 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში რეგისტრირებული არ არის.

პატივისცემით,

აპარატის უფროსი რუსლან ქორიძე

09-02-15/421

10 09 4

6010 ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას 9
ტელ.: (422) 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 9, Gamsakhurdia str.
Phone: +995 (422) 272070
administration@ajara.gov.ge

473-20-16/2014

31

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 2642104 25 / 12 / 2014 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ქალბატონ მედეა ვასაძეს
მის: ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. N25

ქალბატონო მედეა,

თქვენი N09-02-16/897 წერილის პასუხად, დანართის სახით გიგზავნით შსს საინფორმაციო – ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემთა ბაზების მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ბალანსზე არსებული ავტომანქანა Hyundai №CJC 967–ის მიერ თქვენ მიერ მოთხოვნილ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის ფაქტებზე ინფორმაციას.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

შსს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე გიორგი სახოკია

0802/15/654
1 1
26 12 4

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

18/09/2013 22:17	25/08/1965	გასვლა	საქართველო	სარფი	CJC967	TV0120959	KMHEC41CBCA391545
19/09/2013 00:47	25/08/1965	შემოსვლა	საქართველო	სარფი	CJC967	TV0120959	KMHEC41CBCA391545
19/09/2013 14:59	25/08/1965	გასვლა	საქართველო	სარფი	CJC967	TV0120959	KMHEC41CBCA391545
20/09/2013 01:27	25/08/1965	შემოსვლა	საქართველო	სარფი	CJC967	TV0120959	KMHEC41CBCA391545

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 927/02

420-20-16/2015
(20-15/227-28.04.2015)
ჩვენი

"15" 06 2015

33

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ქალბატონ მედეა ვასაძეს

ქალბატონო მედეა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში წარმოდგენილი თქვენი 2015 წლის 28 აპრილის N09-02-16/295 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მთავრობის თავმჯდომარე არ არის უფლებამოსილი განიხილოს ბრიფინგის მასალებში ასახული საარჩევნო კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის ფაქტები, ვინაიდან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 77-ე მუხლის თანახმად „საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში ამ კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული".

ბრიფინგის მასალებში მოცემული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მთავრობის თავმჯდომარე ასევე არ არის უფლებამოსილი შეისწავლონ და გამოიძიონ დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტი. იმის გათვალისწინებით, რომ ბრიფინგი გადაცემული იქნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და თუ ბრიფინგზე გაჟღერებული ინფორმაცია შეიცავს დანაშაულის შესახებ ინფორმაციას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად კომპეტენტური ორგანოები უფლებამოსილნი არიან დაიწყონ გამოძიება.

რაც შეეხება ბრიფინგის მასალებში ასახული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის თანამშრომლების მხრიდან დისციპლინური სამართალდარღვევის სავარაუდო ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას, გაცნობებთ, რომ მასალებში საუბარია აპარატის იმ დროისათვის შვებულებაში მყოფი აპარატის უფროსის მიერ ავტომანქანით სარგებლობის ფაქტზე. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 79-ე მუხლის პირველი

09-02-15/333
2
16 06 2015

6010 ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას 10
ტელ.: (422) 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 10. Gamsakhurdia str.
Phone: +995 (422) 272070
administration@ajara.gov.ge

ნაწილის თანახმად იმ თანამდებობის პირმა ან დაწესებულებამ, რომელსაც აქვს მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის უფლება, დისციპლინური გადაცდომისათვის მის მიმართ შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე დროისათვის ბრიფინგის მასალებში ასახული პირი არ წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის თანამშრომელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მთავრობის თავმჯდომარე მოკლებულნი არიან სამართლებრივ შესაძლებლობას იმსჯელონ დისციპლინური გადაცდომის არსებობა-არარსებობის თაობაზე.

პატივისცემით,
არჩილ ხაბაძე